



რისკი და განუსაზღვრელობა საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას

რეზიუმე

ლუარა გვაჯაია

სტუ-ის პროფესორი
E-mail: luara.gvajaia@mail.ru

სტატიაში განხილულია საკითხები საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას მოსალოდნელი რისკების, როგორც გაუთვალისწინებელი ფინანსური დანაკარგების წარმოშობის ალბათობის თაობაზე. პრობლემის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, საინვესტიციო რისკების მართვისათვის ცოდნის დამოუკიდებელ დარგად ფორმირებული იქნა რისკების მოდელირების, შეფასების და მართვის სპეციალური მეთოდოლოგია, რომელიც ცნობილია „რისკ-მენეჯმენტის“ სახელით. აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად რისკის წარმოშობა ძირითადად გამოწვეულია საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსალოდნელი სიტუაციების თაობაზე ინფორმაციის ნაკლებობით.

სტატიაში მოცემულია საინვესტიციო რისკების კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, ასევე განხილულია რისკის შეფასების საკითხები აბსოლუტური და შედარებითი მაჩვენებლების გამოყენებით. გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი საინვესტიციო რისკების მართვის ანუ რისკ-მენეჯმენტის განხილვას, რაც დაფუძნებულია ორ ძირითად მეთოდზე - რისკების გადაცემისა და რისკების შენარჩუნების მეთოდებზე; განხილულია აღნიშნული მეთოდების არსი და შინაარსი, მათი გამოყენების აუცილებლობის პირობები.

საკვანძო სიტყვები: საინვესტიციო რისკი, გადაწყვეტილების მიღება, მოსალოდნელი სიტუაციები, რისკების მართვა, რისკ-მენეჯმენტი, შეფასება, მეთოდები, ფუნქცია, განუსაზღვრელობა, აბსოლუტური და შედარებითი, თვითდაზღვევა.

ძირითადი ტექსტი

საწარმოთა საქმიანობის პროცესში ხშირად აღგილი აქვს არაორდინალურ სიტუაციებს, საქმე გვაქვს რისკთან, გაუთვალისწინებელ შედეგებთან, რაც ძირითადად განპირობებულია საკითხთან დაკავშირებით საჭირო ინფორმაციის ნაკლებობით. რისკი ობიექტურად დამახასიათებელია საწარმო-სამეურნეო საქმიანობისათვის, უფრო ხშირად ეს ვლინდება გრძელვადიანი

საინვესტიციო პროექტების განხორციელების პროცესში.

საინვესტიციო საქმიანობის შედეგების განუსაზღვრელობის პირობებში საწარმო ვალდებულია ეძიოს ხერხები და მეთოდები დანაკარგების თავიდან აცილების ან შემცირების უზრუნველსაყოფად. საინვესტიციო რისკების მართვის მსოფლიოში გამოჩნდა და ცოდნის დამოუკიდებელ დარგად ფორმირებული იქნა რისკების მოდელირების, შეფასების და მართვის ცოდნის სპეციალური მეთოდოლოგია, რასაც უწოდებენ „რისკ-მენეჯმენტს“.

რისკ-მენეჯმენტი - სისტემური პროცესია, რომელიც მოიცავს: - რისკის ძირითადი სახეების იდენტიფიცირებას, დაკავშირებულს საინვესტიციო და საინოვაციო საქმიანობასთან; - ამ რისკების რაოდენობრივ შეფასებას; - გამოვლენილი რისკების აღმოფხვრის ან შემცირებისათვის მეთოდების შერჩევას; - რისკის კონტროლის პროცედურების შემუშავებას და რეალიზაციას.

რისკი წარმოიშობა მიმდინარე თუ მოსალოდნელ სიტუაციებთან დაკავშირებით ინფორმაციის ნაკლებობისას, რაც შეიძლება იყოს:

- ეკონომიკური კონიუნქტურის (მოთხოვნა და წინადადებები საქონელზე, ფინანსებზე, წარმოების ფაქტორებზე) განუსაზღვრელობა;
- კაპიტალის დაბანდების სფეროს მრავალი ვარიანტის არსებობა;
- მეწარმის ცოდნა-გამოცდილების შეზღუდულობა და სხვა.

რისკის არსის გაგება დაკავშირებულია იმ ფუნქციების გარკვევასთან, რასაც იგი ასრულებს სამეურნეო საქმიანობის განხორციელებისას; ეს ფუნქციებია:

1. **რეგულატორული ფუნქცია** - მას გააჩნია ურთიერთსაპირისპირო ხასიათი და ვლინდება ორი ფორმით:

- **კონსტრუქციული** - ამ შემთხვევაში რისკი სამეურნეო საქმიანობაში ასრულებს თავისებური კატალიზატორის როლს, ასტიმულირებს სამეწარმეო ინოვაციურობას, უკეთესი



მომავლისაკენ სწრაფვას;

- **დესტრუქციული** - რისკი არღვევს სტაბილურობას, გაუმართლებლად დიდად სარისკო გადაწყვეტილებების რეალიზაციას მიჰყავს ორგანიზაცია ვოლუნტარიზმამდე.

2. დაცვითი ფუნქცია, რასაც ასევე გააჩნია ორი ასპექტი:

- **ისტორიულ-გენეტიკური**: კაცობრიობა თავისი განვითარების ყოველ პერიოდში ეძებდა არასასურველი პირობებისაგან დამცავ მეთოდებს, ანუ რისკის მინიმიზაციის ხერხებს;

- **სამართლებრივი** - განსაზღვრავს მეწარმის უფლებას გონივრული რისკის საკანონმდებლო უზრუნველყოფის აუცილებლობაზე.

რისკი წარმოიშობა განსაზღვრულ პირობებში, რასაც უწოდებენ რისკის სიტუაციას. ეს პირობები ურთიერთდაკავშირებულია და მოიცავს: 1 - განუსაზღვრელობას, ანუ ინფორმაციის ნაკლებობას სიტუაციის დღევანდელ ან სამომავლო მდგომარეობაზე; 2 - არსებული ალტერნატიული ვარიანტებიდან გადაწყვეტილების შერჩევის აუცილებლობას; 3 - თითოეული არსებული ვარიანტის განხორციელების ალბათობის შეფასების შესაძლებლობას.

რამდენადაც საინვესტიციო საქმიანობა საკმაოდ გრძელვადიანია და მასზე მოქმედი საგარეო ფაქტორები მრავალფეროვანია, იგი ყველა ფორმით და სახით დაკავშირებულია რისკთან. **საინვესტიციო რისკი** - ეს გაუთვალისწინებელი ფინანსური დანაკარგების წარმოშობის ალბათობა საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების პროცესში.

საინვესტიციო რისკები შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგი ნიშნების მიხედვით: ა) **გამოვლენის სფეროს მიხედვით**: ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სხვა; ბ) **ინვესტირების ფორმის მიხედვით**: რეალური ინვესტირების რისკი (იგი შეიძლება დაკავშირებული იყოს სამშენებლო ობიექტის განთავსების ადგილის წარუმატებლად შერჩევასთან) და ფინანსური ინვესტირების რისკი (როდესაც საქმე გვაქვს ფინანსური ინსტრუმენტების არასწორად შერჩევასთან).

გამომდინარე იქიდან რომ საინვესტიციო რისკი ასახავს გაუთვალისწინებელი ფინანსური დანაკარგების წარმოშობის ალბათობას, შეფასებისას მისი სიდიდე განისაზღვრება როგორც პროექტით მოსალოდნელი შემოსავლების გადახრა საშუალო ან დაგეგმილი სიდიდიდან. საინვესტიციო რისკის შეფასება ყოველთვის დაკავშირებულია მოსალოდნელ შემოსავლებთან და მათი დანაკარგების ალბათობასთან.

ფინანსური დანაკარგების შეფასებისათვის

იყენებენ **აბსოლუტურ და შედარებით** მაჩვენებლებს. საინვესტიციო რისკთან დაკავშირებული ფინანსური დანაკარგების **აბსოლუტური სიდიდე** - ეს არასასურველი გარემოებების დადგომასთან დაკავშირებით ინვესტორისათვის მიყენებული ან პოტენციურად შესაძლო ზარალის თანხაა, რაც დამახასიათებელია მოცემული სახის რისკისათვის. ფინანსური დანაკარგების **შედარებითი სიდიდე** კი - ზარალის ფარდობა არჩეულ საბაზო მაჩვენებლებთან (მოსალოდნელი შემოსავალი, ინვესტირებული კაპიტალის სიდიდე და სხვა).

რისკის მართვის პრაქტიკული პროგრამის პარამეტრები, რომელიც შემუშავებულია კონკრეტული საწარმოს გარემოებების გათვალისწინებით, დამოკიდებულია წარმოქმნილი რისკების სპეციფიკაზე, საწარმოს განკარგულებაში არსებულ რესურსებზე, მენეჯმენტის, სპეციალისტების გამოცდილებისა და კვალიფიკაციის დონეზე რისკების უფრო ეფექტიანად მართვის მიმართულებით.

რისკ-მენეჯმენტის ფართოდ გავრცელებული მეთოდები შეიძლება კლასიფიცირდეს ორგანიზაციის მართვის პროცესიდან გამომდინარე. რისკების მართვა დაფუძნებულია ორ ძირითად მეთოდზე: **რისკების გადაცემისა და რისკების შენარჩუნების მეთოდებზე**.

1 - **მეთოდები, დაფუძნებული რისკების გადაცემაზე (რისკზე უარის თქმა)** - გულისხმობს იმას, რომ რისკის გადაცემა ხდება მიმზიდველ ფასად სხვა იურიდიულ პირზე, რომელიც ფლობს საჭირო გამოცდილებას და დაინტერესებულია მსგავსი საქმიანობის განხორციელებით. ამ მიმართებით უფრო ხშირად იყენებენ დაზღვევას, ასევე სხვადასხვა სამეურნეო კონტრაქტებს. ვალდებულებების რისკების გადაცემა უმეტესწილად ეფექტიანია ფინანსური რისკების საშიშროებებთან ბრძოლისას. პრაქტიკულად იგი ყოველთვის დაკავშირებულია პრემიის გადახდასთან იმ მხარისათვის, რომელიც თავისთავზე ღებულობს რისკს;

2- **მეთოდები, დაფუძნებული რისკის შენარჩუნებაზე** - აღნიშნული გამოიყენება მაშინ, როცა საწარმო იძულებულია საკუთარი ძალებით დაძლიოს რისკთან დაკავშირებით მოსალოდნელი ნეგატიური შედეგები. აქ შეიძლება ორგანიზაციისათვის არსებობდეს სამი სახის სტრატეგია:

ა) **ლოკალიზაცია** - სარისკო პროექტის რეალიზაციის საქმიანობის დამოუკიდებელ ბიზნეს-სტრუქტურად ჩამოყალიბება;

ბ) **დისიპაცია** - რისკის განაწილება მონაწილეებს შორის; პროექტებისა და საქმიანობის



სახეების დივერსიფიკაცია; რისკის განაწილება პროექტის სასიცოცხლო ციკლის მიხედვით;

გ) **რისკის კომპენსაცია** - გულისხმობს თვითდაზღვევის (რეზერვების შექმნის) ან პრევენციული ხასიათის მმართველობითი ზომების მიღებით სარისკო სიტუაციების აცილებას.

რისკების გადაცემაზე დაფუძნებული მეთოდები განიხილება როგორც ყველაზე საიმედო, გამომდინარე იქიდან, რომ რისკების გადაცემასთან დაკავშირებული დანახარჯები, შესაძლებელია ადვილად განისაზღვროს და შეფასდეს. ზოგადი წესით, რისკების გადაცემა სასარგებლოა ორივე მხარისათვის შემდეგი პირობების არსებობის გათვალისწინებით:

- დანაკარგები, რომლებიც რისკის გადამცემისათვის შეიძლება იყოს დიდი, შესაძლოა უმნიშვნელო იყოს რისკის მიმღები მხარისათვის;

- მიმღები მხარე შეიძლება აღმოჩნდეს უკეთეს მდგომარეობაში დანაკარგების შესამცირებლად, ვიდრე რისკის გადამცემი მხარე.

რისკის შენარჩუნებასთან დაკავშირებული მეთოდები (რისკის **ლოკალიზაცია**, **დისიპაცია**, **კომპენსაცია**) გამოიყენება მაშინ, როდესაც აუცილებლობა მოითხოვს საწარმოს

მხრიდან რისკის გაწევას. ასეთ შემთხვევაში ორგანიზაცია იყენებს ე. წ. **თვითდაზღვევის მეთოდს**, იგი ითვალისწინებს შესაძლო ზარალის აღიარებას იმ შემთხვევაში, როდესაც მისი მინიმიზაციის სხვა ხერხები მიუწვდომელია ან საქმე გვაქვს მცირე ალბათობის რისკთან. ეს მეთოდი საკმაოდ ძვირადღირებულია და, როგორც წესი, გამოიყენება უფრო მსხვილი და ფინანსურად მდგრადი საწარმოების მიერ. მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თვითდაზღვევა მიზანშეწონილია შემდეგ შემთხვევებში:

- დაზღვევას დაქვემდებარებული ქონების ღირებულება მთელი ბიზნესის ქონებრივ და ფინანსურ პარამეტრებთან შედარებით და ასევე მოსალოდნელი ზარალის რისკის სიდიდე შედარებით მცირეა;

- ზარალის ალბათობა ძალიან მცირეა და ფირმა ფლობს დიდი ოდენობით ერთი ტიპის ქონებას;

რისკების შენარჩუნების მეთოდის გამოყენებასთან საქმე გვაქვს აგრეთვე მაშინ, როდესაც ხდება რისკების გაერთიანება იმ მიზნით, რომ ზარალის ალბათობა თითოეული მონაწილისათვის გახდეს უმნიშვნელო, არა არსებითი.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. А.Е. Карлик, Е. М, Рогова и другие. Инвестиционный менеджмент. Санкт-Петербург. 2008.
2. ე. ბარათაშვილი, რ. ქუთათელაძე, ლ. გვაჯაია, რ. ყურაშვილი. საინვესტიციო მენეჯ-

მენტი. სახელმძღვანელო. 2011.

3. ლ. გვაჯაია. თ. გოგოლაძე. საინვესტიციო რისკების მართვა. ჟ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“. №2, 2016.

RISK AND INDEFINITE WHEN MAKING INVESTMENT DECISIONS

LUARA GVAJAJIA

professor of GTU

E-mail: luara.gvajaia@mail.ru

Summary

The article discusses the possibilities of risks of investment decisions as to the likelihood of unpredictable financial losses. Depending on the importance of the problem, an independent field of knowledge for managing investment risks has been created by a special methodology of risk modeling, evaluation and management, known as “risk management”. The risk of risks in accordance with the above methodology is mainly due to the lack of information on the situations in the investment decision making process.

The article describes the classification of investment risks according to different signs, as well as the risk assessment issues using absolute and comparative indicators. There is a certain place to consider investment risk management, or risk management, based on two main methods - on risk transmission and risk management methods. The essence and content of these methods are discussed and the terms of the necessity of their use.

Key words: investment risk, decision making, expected situations, risk management, risk management, evaluation, methods, function, indefinite, absolute and comparative, self-confidence.